

საქართველო 80-IX.

№ 16.

თბილისი, 1913 წ.




ს. გ. ყ. ყ. მ. მ.

# შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — გადაარჩინა,—სურ.	1
II —სამნი დანი,—ლექსი ბ. ახსნაბრედისა	3
III—გოგის ნიშა მოზვერი,—თეთრისა	5
IV—კატა და მელა,—(ზღაპარი ლექსად) მათესი	11
V—იშვიათი სტუმარი,—გრ. ზარკასისა.	15
VI—კრაზანის დლიური,—(თარგმანი) შაკასი	19
VII—ვასართობი:—შარადები, რებუსი და აღსნა	23





## ს ა მ ნ ი ღ ა ნ ი.



ამრომა სთქვა: ღამაში ვარ,  
როგორც ჩემი დედოფალა;  
მისებრ კიძრის თმებიანი,  
წითელ-ლოყა და ძაფ-თვალა!..

ველომა სთქვა: მეცა ვშვენი,  
მეც მიელაგს თვალბიო  
და უოველთვის მე მაქებენ  
ჩვენი სოფლის ქალებიო!..

თინამ ისე უპასუხა:  
არ მაქვს სახის შვენებო;  
ღმერთმა ისე გამომხატა,  
როგორც მის გულს ენებო!..

თუნდაც ვიუო მშვენიერი,  
თქვენებრ თავს არ შევიქებო!..

არა მარტო სილაძესე  
არის სანატრ-სანაქებო!..

ღმერთსა სთხოვეთ: მოკცეთ სწავლა,  
კეთილ-გონიერებაო, —  
თორემ უკვლას გულის მოუკლავს  
თქვენი მშენიერებაო!..

ბ. ახასპირელი.





## გოგის ნიშა მოზვერი.



ეტად ძალსაში, მეტად კათამძებული იყო  
 გოგის ჯერ კიდევ მხოლოდ ერთი თვის ზა-  
 ტარა ფუჩინა. იგი უკვლავ თავის ტოლ ამ-  
 სანაკ სბორებს ერეოდა: დასტოდა, დაკუნტრუშებდა, ხან ერთ  
 სბოს დაეტაკებოდა და გაიფრენდა, ხან შეორეს. რაც ხანი გა-  
 დიოდა, გოგის ნიშა ფუჩინა სბო უფრო თამაში და ღამაში  
 სდებოდა. თამაში იყო, რადგან მისი დედა თავულა ძროსა  
 ურიად ეშმაკი და მოხერხებული იყო: წველის დროს ვოველ-  
 თვის იზარაზდა და ზედ მეტ რმეს იტოვებდა თავის საუფარველ  
 ნიშანთვის, თუმცა მას უკერისებდნენ<sup>\*)</sup>. გაუკვს თავლას  
 ეს ოსტატობა, მაგრამ მინც ბლომად იტოვებდა რმეს, და  
 აი ალბად ეს იყო მიხეზი, რომ ნიშა ვოკოჩად თითქოს  
 ამპარტაუნადაც დაბრძანდებოდა და ხან კიდევაც დაკუნტრუშებ-

<sup>\*)</sup> ხელმოკრედ წველიდნენ.

და. ეს კუნტრუში და ერთგვარი სხოს ცელებობა ძლიერ ახარებდა გოგის, რომელიც მზად იყო მთელი დღე მისთვის ექიჩირა და მისთვის ეალერსნა.

რაც დრო გადიოდა, გოგის უფრო და უფრო უუვარდა თავისი სბო კი არა—ამ ქამად უკვე კვებულა \*) მოხვეერი. გოგის კი უუვარდა თავის კვებულა ნიმა მოხვეერი, მაგრამ მისი დედა, კნენა სოფიო, და მამა—დიმიტრი ცუდ საქმეს უპირებდნენ მას: თურმე სბო სარკის წმიდა გიორგის ზვარად დაეუენებინათ და აი ერთ მშეენიერ დღეს თავადმა დიმიტრიმ უბძანა მოჯამაკირე ტატოს საბარო ურმისთვის ჩარდახი დაე მზადებინა, რადგან მეორე დღეს დილით ადრე სარკეს უნდა წასულიყო მთელი ოჯახი სალოცავად.

მკათათვის მშეენიერი დილა იყო. ჩარდახიანი ურეში მზად იყო და დიმიტრის ოჯახი მომზადებული ჩაჯდა ურეში, ჩაიწეეს ორი დღის საშეოფი სკებალი, გამოიბეს ურმის ბოლოს გოგის ჰატარა ნიმა მოხვეერი, გადიწერეს ჰირჯვარი და გაუდგნენ კზას.

მიდის ჭრიალით ურეში და მისდევს კუდის ცანცარით ნიმა მოხვეერიც. ჰირველ ხანს ცოტა არ იუოს ინამუმა უელსე გამობმული მსხვილი თოკი და ნიმა თითქოს დასასწრჩობად აეთობა ურემს, მაგრამ მალე ურჩობას თავი დაანება და შეურიგდა თავის ბედს.

— მამილო, ნიმა ცოდოა, დაილალა, ჩავსვათ ეკეც ურეში, — ეუბნება გოგი მამას.

— არა, შვილო, მაგას ეგრე სიარული ურჩევნია.

— მამ მეც მასთან ვიელი ფეხით, — სთქვა გოგომ და გადმოხტა ურმის ბოლოდან: — დედა, მარტო ნიმა რად წამოვიუვა-

\*) ერთი წლის მოხვეერი.



ნეთ სალოცავად, რატომ სსვა ჩვენი ხნორებიც არ წამოვხატავთ?

— იმიტომ, შვილო, რომ შენ ეკ ძალიან გიყვარს.

— ოჰ, რა კარგი დედა შევესარ!—სთქვა, და დედას რომ ურემში ვერ მისწვდა, თავის საეპარელ ნიმას გადახვია ხელი გოგომ და ალურსით კოცნა დაუწყო.

— ტატო, ა ტატო!

— რა გინდა, გოგი?

— ერთი ეს მითხარი: თაულა ძროხას უფრო უყვარს ეს თავისი შვილი ნიმა, თუ ჩემ დედას მე?

— რა ვიცი, შენი ჭიმიე, ეკ ქალბატონსა კითხევი,— უთხრა ტატომ და თან უღვაშებში ჩაეცინა.

— მამ შენ მითხარი, დედა.

— აბა ძროხასთან რა შესადა რეგელი ვარ, მე წუწკო, შენა!—გაჯავრებით უთხრა ნაწეუნმა კნენა სოფიომ.

— მე გეტყვი, შვილო, მე,—ახარებით დაატანა დიმიტრიმ, თითქოს უნდადა კნენას უადგილო უკმესი ზასუსი გამაყესიდა!—როგორც შენ უყვარსარ დედას — ისე ეკ ნიმაც უყვარს თავის დედას.

ამ ლაზარეკი ურემი კიდევ მიუხსლოვდა იმ აღმართ კლდეებს, სადაც სეველანი ურმიდან უნდა გადმოხულიყვნენ, თორემ საქონელი ცარიელ ურემსაც ძლივს აიტანდა იმ ციცაბო გზასე.

— დაცა, ბიჭო, გახერე ურემი, გადმოვიდეთ!—უბრძანა თავადმა ტატოს:—აბა ასლა საზონი შეუსვი ურემს და კასწიე.

— მამ, მე დავიღალე.

— შენ ჩაჯექი, შვილო, იმდენს არაფერს დაამძიმებ; მსოლოდ ფრთხილად იყავი, მაგრა დაჯექი; ჭავლს სელი მოჰკიდე,—არ გადმოვარდე; ბარკსედაც თვალ-ურრი დაიჭირე, არა



დაიკარგოს-რა, კენაცვალის დედა,—უთხრა კნენამ და მკვრივად გოგინოსან, მკვრივ აკოცა, თითქოს ამით შერიცხება უნდოდა გოგინოსან, რომ ნაწილები არ მისულიყვნენ წმიდა გიორგის კარზე.

შუადღე კარვა გადასული იყო, როდესაც თავად დიმიტრის ურეში სარკის წმიდა გიორგის ეკლესიას მიადგა. სალოცავად მისულნი ძალიან ნაკლებად დაუსხდნენ იქ: ალბად იმიტომ, რომ მკათათვეში სოფლის მდებარე ხალხი გახურებულ მუშაობაშია და სალოცავად წასვლა უფრო შემოდგომით იციან. თუმცა მლოცველები ნაკლებად იყვნენ, მაგრამ მინც ამოდენა კარვებში თუ საკაროში ვერც ერთი სეირიანი ოთახი ვერ ამოარჩია თავადმა: ნასვერად სულ ფარდალალები იყვნენ; მაგრამ რა გაეწუროდა: ერთ-ერთში მინც უნდა მოთავსებულიყვნენ. მოჯამაკირეს უბრძანა სვედიან ოთახისთვის ფარდაკი გადაეფარებინა, რადგან შესაძლებელი იყო ღამე გაავდრებულიყო.

— რა სიკრიქანგვა ამ მღვდლისა, რომ ერთი ორი ოთახი მინც ვერ შეუკეთებინებია?

— ეტეობა საუოფი მლოცველები არა ჭეპს და საუოფი საწირავი არ შემოსდის?— სთქვა კნენამ და თან ტუჩები აიბრუნა.

— აღარა ჭეპს, ქალო, კვლავინდებურად ბლომად მლოცველები. ნასწავლი ხალხი აქ არ მოდის და უსწავლელებიც ბევრი ჰბამავენ ამ ბოლო დროს იმათ. დარჩნენ ერთი კადატაკებული გლეხკაცები, და აბა იმათ რას დავიდევს ჩვენი მღვდელი— შესცივდებათ თუ ვაცივდებათ.

— ეგვეცი მართალია, — სთქვა კნენა სოფიომ & უბრძანა მოურავს სუფრა გაეძალა.

— რა დროს სუფრაა, ადამიანო: ჯერ ეკლესიაში არ შევიდეთ, ჰირჯვარი არ გადავიწეროთ?— უთხრა რინიანად დიმიტრიმ.



— ქა, ამან გაშალოს, და სანამ ჩვენ ვერ მოვახსნით რაიმე, რამდენი ხანი უნდა მოუნდეთ განა ზირჯვარის დაწერას?

ზირჯვარიც გადაიწერეს, სატებ წინ მუსლიც მოიყარეს, კიდევ ემთხვევნენ და მალე სადილიც გაათავეს.

— ასედა ე მოსვერი უნდა შემოუტარო კვლევისან კარბე-  
მო და მერე დაჰკლათ; გავიკონე, ტბტო?

— რაო, მამა, რა სიტყვი, მამა?

— არაფერი, შეილო: აი შენი მოსვერიც უნდა ვაღლო-  
ცოთ.

ეს-კი მოისმინა გოგომ, მაგრამ თითქოს რაღაც ეჭვი შე-  
ეპარა და აღარ შორდებოდა არც ერთი წუთითაც თავის ძვირ-  
ფას მკობარ ნიძას. გოგი არ მოსტყუვდა, მალე წამოაქციეს  
მისი ნიბა და მისცეს უელში ბასრი ხანჯალი.

— რას შერებთ, რას შერებთ, რაზე მიკლავთ ჩემ ნი-  
ძას, — ჭევიროდა გამწარებული გოგი, მაგრამ გვიან-და იყო:  
მისი მოსვერი უკვე თავ-მოჭრილი საცოდავად აფართხალებდა  
ფეხებს და მოშორებული თავი ჯერ კიდევ სამუშ-სამუშ ზირს  
აღებდა და ენას კარედ აკლებდა.

— ურჯულოებო, ბოროტებო! რაზე მომიკალით ჩემი ნი-  
ძა? — სტიროდა გაწიწმბებული გოგი.

— სუ, შეილო, ფუფაღა არ გაგიჯავრდეს და არ გიწვი-  
ნოს, — აჩუმებდა ენეინა, მაგრამ ბავშვი უარესად მოსთქვამდა  
და იძახდა:

— ფუ, ფინთი ეოფილა, ფუფაღა, ფინთიო!

— ფინთი შენა ხარ, შე საძაგელა შენა, რას ამბობ მა-  
გას? ღმერთო, ნუ უწევს.

— ჰოო, თქვენ არ მეუბნებოდით სოღმე, რომ ღმერთი  
კეთილიაო, ღმერთი კველას მოუვარულიაო? მამ რად მომი-  
კლა ჩემი ნიბა? ფუფაღა არის ბოროტი, თუ თქვენ?

ასე სტიროდა საღამომდის გოგი. საღამოზე სიცხე მის-

ცა. კნეინას და თავადს გული დაუსკდათ. ფიქრობდნენ—აღბნად უწეინა წმიდა გიორგიმ გოგის ის ურზი სიტყვები და დავი-  
 ღუწეთ სამუდამოდო.

— წმიდა გიორგი ძლიერო, შენ სახელს ვენაცვალეთ, ნუ  
 უწეენ ჩვენ გოგის; ხომ იცის მღალამა ღმერთმა და ძირს  
 დედამიწამ, რომ სიბავშვით მოუვიდა და არა სიბოროტით; ნუ,  
 ნუ ბილებ ჩვენზე ხელსა და ნუ წაკვართმევ ერთადერთ ძესა.

ასე ვკედრებოდნენ სელ-ანურობილნი ცოლ-ქმარნი, რო-  
 დესაც გოგის სიცხემ უფრო უმატა და ბოდვაც დაიწყო: „ჩე-  
 მი კარგი ნიმა კინაღამ წამართვეს.“ გოგის ამ სიტყვებიდან  
 მიხედნენ მშობლები, რომ წმიდა გიორგი არაფერ შუაშია  
 გოგის აუადმოყოფობაში და შეითხაუიც აღარაა საჭირო: მიყე-  
 ზი ნიმას ჯავრია.

თეთრი.





## კატა და მელა.

(ზღაპარი).



მელა საქურდლად დაცუნცულეებდა  
ტკატას შესვდა სოფლის ბოლოში,  
კარგად გაეცნო, დაუმეგობრდა  
და მიიწვია თავის სოროში:

წამო, დაიავ, ტყეში ჩემთანა,  
და მეგობრულად იქ ვიცხოვროთო,  
რაცკი ვიშოვოთ, ან შევიძინოთ,  
ვეკლა თანაბრად ჩვენ კავიეთოთ.

შენ განდობ შეილებს;—კარგად დაძინდი,  
მათ სწავლა უნდათ,—ეს შენცკი იცი;  
მეკი დღე მუდამ სახდოს მოგიტანთ...  
კარგი აზრია, არ უნდა ფიცი!

რომ თავკებს სდია დასაჭერად,  
ცხადად გეტუობა, აღარ გაქვს ღონე,

ბიჭომ, დაო, მე გულით გირჩევ,  
კეთილი რჩევბა მეს კამიკონე!..



სწორედ იმ დილით მსუნაკობისთვის  
საწუხალი ციცა კარგად მიჯიხეს,  
და ჰატრონებსე გაჯაჯურებული  
მელისას გაჭევა ტყეში იმავე დღეს.

მეორე დილით განთიადისას  
სანადიროთა წაუვიდა მელა  
და რადგან კატას ისევ ეძინა,  
ბიჭომ სოროდან გამოძვრა ნელა.

ტეის ზირს მოასწრო კურდღლის ბაჭიას  
სტაცა ზირი და გაარბენინა.  
ამ დროს შემოხვდა მკელი მძიერი  
და მეს ბაჭია გააკდებინა.

მელამ იფიქრა: მე უძლეური ვარ,  
რას მოჰყრევი ამ ზორბა მკელსა!

ისევ სჯობს რაღე სერსი ვიღონო,  
მაშინ ნამდვილად გაუშვებს სელსა.

მისძასა: „მაცა, მივიდე შინა,  
იმ წამსვე ვეტყვი ბატონს ციცასა,  
მაშინ, გარწმუნებ, არ მოგცემს ნებას  
მაგრე რიგადა ჩემ დაცინვასა.

საწუალ მგელს შიშით ფერი ეცვალა,  
ჯერ არ გაგო ციცას სასელი,  
შეერთა, მოჭკურცხლა რაც ძალა ჭკონდა.  
და თან ბაჭიას გაუშო სელი.



მელამ ღიმილით გასწია შინა,  
რომ მოიშორა თაყიდან მგელი;  
მაგრამ ამ დროსვე წინ შეესქა  
წირ-დაღრწინილი დათვისა ბელი.

დათუმა შეჭყვირა: „როგორა ჭბედავ,  
ხემს ტყუმი იჭერ ნადირს, დამაცა!

მინოსთან \*) წაუღალ საჩივლელებდა!“  
 და ჯარბძეში დაუღალ წასტაცა.

„იმიტომ ვბუღავ,“ უხერხა მეღამ,  
 რომ ციცას უნდა მივართვა შინა  
 და თუ გშურს მისთვის, ის ციცამ იცის...  
 მისგან დასჯილი ბეჭრი ეოფილა!

ის მე შესტუმრა, სადილი მიმაქვს  
 და თავი მომწონს ამით მეღასა.  
 ეკ შენ წამართვი, რაღა მივართვა?!  
 თუ კი შემოკვწურა, კვაზნებს ევეღასა!“

მათე.

(დასასრული იქნება).



\*) მინოსი, ძველი ბერძნების რწმუნებით, მითიური კანონმდებელი  
 მეფე იყო.



## იზვიათი სტუმარი.



რელი ჰეპელა სუდ სახლის კარებზე მიეჭრა ჰატარა ვალიკოს. ვაგონილა მეტი მისხარად აგდება! საჯირითოდ გაიწვია ვალიკო, მბგრამ

ჰაეროვანმა მწერმა ის-კი არ იცის, რომ ვალიკო მას არაფერში ჩამოუვარდება. დაინახა თუ არა ჰეპელა, ვალიკო მარდად გამოეკიდა. თუ დაეწია, ცუდად დაუთენთავს ჰეპელას იმ თიფთიკიუით რბილ კახს. ვნახოთ—ვინ აჯობებს.

თავბრუ დაახვია ვალიკოს ჰეპელამ. კსები დაუსლართა, ათასჯერ შემოატრიალა ერთ ადგილას. ქედის მოქნეფითაც რომ ვერას კახდა! მბგრამ სედაც ჰეპელაა — იქ ვალიკოა. ძალზე მარდები გამოდგენენ ორივენი. აკი ვსთქვი — დაიღლე ბიან მეტი. ქანც-გამოლეული ვალიკო სენეშით, ოფლში გაწურული მიწაზე დაეგდო, სოლო ჰეპელა იქვე ბალახის კენწეროზე წამოსკუჭდა. ღმერთო, როგორ ჩამტვრებიან თვალებში და როგორ დასცინის ვალიკოს. „ვის ეჯიბრები, ვინა,“ თითქოს ეუბნება ჰეპელა. მბგრამ იქნება ვალიკომაც გადაუსადოს.



აფრინდა ჰეპელა. მერე ვინ იცის, რამდენი იტრიალდა იმდროინდელი ლიკოს კარშემო. ბოლოს, თითქოს გამომძვინდობებისაო, წინ გაუქროლა და შორს, შორს ტვისაკენ გაფრინდა. არსად მერცხუნებდა ასე ვალიკო. ბრახ-შორეული უკან დაედევნა ჰეპელას. მაცდურ ჰეპელასაც ეს უნდოდა. მიდის გამალებით წინ და თან ვალიკოსაკენ იხედება. კუდიანი მანაც არ მოეშვა მას. ჯიბრით ვალიკოც აღარ უთმობს ჰეპელას. მიფრინავს ჰეპელა და მისდევს ვალიკოც. რამოდენა მინდორი და კსა გაიარეს ცელქობასა და სტუნობაში. სოფელი აღარა ჩანს. ეველა აი იმ დიდი კორის ქიშს ამოეფარა. ვალიკო თავისი მტერ-მოკვარით ტყეში შევიდა. რა მძვინიერია ტყე! თითქოს ვალიკოს მოსულას ელოდაო, მალსე მსიარულადაა. ხუმრობა ასეთი იშვიათი სტუმრის წვევა!

ბუნებას ნამდვილი მეჯლისი აქვს გამართული. ათასფერ ევაზილებით მორთულს ფრინველთა კუნდი დიდებებსა და ქებებს უგალობს. თავის დღეში არ უნახავს ვალიკოს ამკვარი მძვინიერება. არ იცის—რაზე გაჩერდეს, რას მიანეროს თვალები. ეველა მისთვის ასალი და საინტერესოა. ვისღა ას-სოვს დედა და მამა! თითონ ჰეპელა—მეგობარიც-კი დაავიწუდა ვალიკოს. ან სად იბოუნის ასლა იმ ჰეპელას? ემშაკმა ჰეპელამ თავისი საქმე გააკეთა, მოიუვანა ვალიკო თავის სამეფოში და მეტი რა უნდა...

აკერ დაბინდა. სხვა-და-სხვა საკნის კარჩევა თვალს უძნელდება: ირგვლივ სინუქე და მუედროება დგება. მხოლოდ მეტიჩარა ჩსიკვმა სტუნობაც-კი დაიწყო ვალიკოს წინ, მაგრამ თითქოს მიხვდა—შეეძინდებაო, სწრაფად მოშორდა. აკერ ლახარმა კურდღელმა შედ კვარდზე ჩაურბინა ვალიკოს, მაგრამ მიხედვითაც არ მიუსდინა: იქნება ის უფრო დაფრთხა. თვალებ-დასქეტილმა ბუმ ერთი კიდევ გაჭკივლა, მაგრამ დასმა-

ურებაზე ისიც ცხრა მთას იქით გადავარდა. დარჩა მარტო ვალიკო.

აი, როგორ მოატყუა ის ჰეპელამ. ჰატარა ბავშვმა როცა ზირველად იფიქრა ტყეში ვარო, თმა ვალებზე დაუდგა. ან რა ექნა, სად წასულიყო? ვის არ იცოდა და ჰატრონი არ უხანდა. ეტირნა? მაგრამ ტირილიც თავის დროსე უნდა. მერტი ხსნა არ იყო, უნდა დამორჩილებოდა ბედს ვალიკო და ტყეში დაძე მარტო გაეთეებინა; საბუნდევროდ—დაღლილობამ და სიბავშვემ თავისი გაიტანა. რამდენიმე ხნის შემდეგ რბილსა და სუნსელოვან ბაღასებზე ჰატარა ვალიკოს ტებილად ეძინა.

ჩაჭევა ძილში ერთი იმედი და ფიქრი, რომ დედ-მამა არ გაუშეებდნენ ღვთის ანაბარა და როგორმე მონახავდნენ. აი რა სიზმარშია ვალიკო. მთელი სოფელი ფეხზე დგას. ვეკლა, დიდი და ჰატარა, იმ მსჯელობაშია, თუ სად და როგორ მონახონ ვალიკო. ვეკლესის ზარს რეკენ. შიგნით-კი იგი გაჩირადნებულა. ალბად დედეკლს ალოცებენ—მძვიდობით გადადრეხ ვალიკო. დედაკაცებს ერთი ჟრიაბული უდგათ. ერთი—ქადაღდს შლის, მეორე—ნახშირითა და დანით რაღასაც ულოცავს, ვეკბ ტყეში ნადირს ზირი შეკვრას, ვალიკოს არა ვენოს-რაო. მხოლოდ ვალიკოს დედა იცემს თავში და თმებს იწვევტავს, მოსთქვამს სმა-მადლა და ზირს, იკაწრავს. საბრბლო ვალიკოს მამა ნერწვე-გამშრალია და ვერა მოუხერხებინარა. ჰატარა ფინია, ვალიკოს დიდი შეკობარი, შფოთავს და კუდის ქნევით ხან ერთს მივარდება და ხან მეორეს: „წავიკეთ საძებნელად, თუ მივდივართო,“ თითქოს ეუბნება ვეკლას.

აი, გამოიძალა ეს ამოღენა ხალხი და მოედო ტყესა და მინდორს. ვევე... საითკენ მიდიან. ვალიკოს უნდა, რომ დაიკვიროს: „აქ ვარ“—ო, მაგრამ ენა არ ემორჩილება. უნდა

გაიქცეს იქითკენ, სადაც სალხია, მაგრამ ფეხები ესლართებოდა, ერთ ადგილას მიჯაჭვულია.

„მიძველეთ!—“ შესძახა რაც ძალი ჭ ღონე ჰქონდა ვალიკომ და თვალები-კი ღია დარჩა. ჰატრონები მას მართლად იქ ჰქაზდა. ვალიკო ზირველად ფინია ძაღლმა იპოვნა და სიძნად დიდი სიუფარულისა ასლაც თავს ეკვლებოდა. იყო საერთო სიცილი და სიძსიარულე. ვალიკო დედანს ეკლსე მოეხვია და, სანამ სოფელში არ ჩავიდნენ, თავი არ გაუხეებებია.

გრ. პარკაძე.





## პრაზანას ღლიური.

ღილას 7 საათი. როცა გავიღვიძე, ძალიან უქეიფოდ ვიგრძენ ჩემი თავი და ვერ მოვიკონე—რა დამემართა. მასწავს, რომ წუსელ უსინამოვნება მომივიდა ვიღაცასთან. მე და ობობა წავინსუბეთ. მაგრამ იქნება ეს ვუკლავური დამესისმა; ნამდვილად არ ვიცი. მხოლოდ, როცა ზირის ბანა დავიწვეე, ჩემ თავსე ქსელის ნაწვეეტები შევნიშნე; ორი ჩემი ფეხი შიშველ მოძრაობდა და ვასიებულიყო; ერთი ფრთა სულ უმოძრაოდ შეკიდა. რა უნდა შექნა? დავიწვეე ჩემი სსეულის სელა დანარჩენი ოთხი ფეხით. შემდეგ, მადლობა ღმერთს, თავი უკეთ ვიგრძენ.

8 საათი. გავფრინდი ტბასე. ვსედავ — ვიღაც უცნობი ბიჭი თვესებს იტყენს. მხიარულად უსტვენს და ჩემ სავარულ მაველის მურაბა-წასმულ თორ ზურს იღუკებდა. ფრთხილად მიუახლოვდი. ზატარა ბიჭები ისე მარდად მივარდებთან სოლმე ქედს, რომ ვერც-კი მოასწრობ ვაზარვას. დიდხანს ვიცადე, სანამ თავისი ზური ბელახსე დადვა. მერე-კი ჩემად მივსოხდი. რომ იცოდეთ—რა გემრიელი სუნი სდამოდა მურაბას! მაგრამ ბიჭმა დიდხანს არ დამცალა — გემოინად ვერ შევქმევი მურაბას.

— გასწი აქედან, საზინდარო მწერო! — დამივეირა მან და ქუდი მესროლა. მე გავფრინდი და უცრად შევამხნიე ბალახსე ზურის ნამცეცები. დავეუი მიწასე და ვერც-კი მოვა-

სწარი კარგად გასინჯვა ამ ადგილისა, რომ უცნობად რაღაც სმურობა გაისმა და არუ-მარე უცნაურმა სიბნელემ მოიცვა: კიდევ მესროლა თავის ქუდი. კარვია, რომ დროსე მოვასწარი გაფრენა! მერე-კი დავაჯექი ბიჭს ოფლიან ხელსე და ჩაუშვი მივ ჩემი ისარი. ბიჭმა გაბავრა ხელიდან ანკესი, რომელიც მუხ ტბაში ჩავარდა, და ღრიალით სასლში გაიქცა. დედასგანაც მოხვდა: შინიდან დაუკითხავად რად გაი-ზარეო.

9 საათი. მშვიდობიანად გაუთავვე ჩემი საუხმე და სარკეში, ესე იგი ტბაში, ჩავისედე. მერე ისევ გაფრინდი და მოულოდნელად გაფრინდი იმ ადგილას, სადაც კუშინ ბრძოლა გუქოდა. ობობას ქსელი სულ დაგლეჯილი იყო; თვითონ ობობა-კი იწვა უძრავად სურგსე, ფესვებ-აშუკრილი. საწყალი, როგორ შეშეცოდა. მინც ღირსეული მოწინააღმდეგე იყო ჩემი: ძლივს მოვიბორე თავიდან.

11 საათი. დაჭებურა ჰატარა ნიავმა და ვივრძენ მშვენიერი სუნი, რომელიმაც ვეგლავფერი დამავიწვა მთელ ქვეყანასე. საჩქაროდ გაფრინდი იმ ადგილისკენ, საიდანაც სუნი მოდიოდა და მივაგენი ჰატარა სასაფსულო სასლს. შეფრინდი გაღებულ ფანჯარაში და სამხარეულოში გაფრინდი; იქ ანთებულ ცეცხლსე შევამსნიე ქვაბში მოსასარმად დამდგარი ქლიავი და ერთბაშად დავაფრინდი. ოჰ, ღმერთო ჩემო! რანაირად დავიწვი ფესვები. ქლიავი თურმე ცხელი იყო. აუტანელ ტკივილების დასაძებლად ჩავარდი იქვე მდგარ სტაქანში, რომელიმაც ღუდი იყო ჩასსმული. სულელმა მხარეულმა ვვირილით გაბავრა სტაქანი ხელიდან და თვითონაც დასველდა და მეც დამასველა. სამაგიეროდ მე ფესში უკბინე. იქვე მდგომის მოახლე, ეს რომ დანახსა, დაიწყო სულელურად კისკისი. შემინებულმა მხარეულმა იმისთანა ვვირილი მორთო, რომ ვეგლავ მოსამსახურეები შემოცვივდნენ. მე-კი მინდოდა იქვე ახლოს





რაც ძალა და ღონე ჰქონდა. ქალებს კინაღამ გული შეეშინებოდათ. მისტერქვესმა კი დაავლო სელსახოცს სული და დამიწყო ოთახში დევნა. ზირველად, როცა სელსახოცს აფრიალებდა, მაკიდასე ეველა ჭიქები დაამტვრია. მერე დვიდას ხანრტვა ზირდანირ ცხვირში; გადამავლო ფანჯრიდან; მე დავეცი ზატარა ბილიკსე და გული შემიწუსდა.

4 საათი და 30 წუთი. როცა გონსე მოვედი, დავინახე, რომ რაღაც უხარ-მხარო ევითელი თვალები მიეურებს. ეს თვალები ეკუთვნოდა მავ ცინდალს. კინურსე ვარდის ფერი ლენტი ჰქონდა შემობმული.

— როგორ ბმანდებით? — შეითხა ცინდალმა.

— არც ისე კარგად, — უზახუსე მე და შევძვერი ფურცელს ქვეშ, რომელიც ბილიკსე იდუა. მართალი გითხრათ — მე კატები არ მიუვარს.

— თქვენ ძალიან მსხვილი მწერი ბმანდებით, — თქვა იმან ნადღელიანად: — მეტი მოძრაობა თქვენ ჯანმთელობას არ აწევენს. რას იტყვით, რომ, მაგალითად, ფუტბოლი? სათამაშოდ მოგიწვიონ? კარგი, სასარგებლო თამაშობაა. არა თუ? ჰე, ჰე!

ჩემ თანხმობასაც არ მოუცადა — ისე გადმომბრუნა თათით და გზასე გამავკორა, ვითომ ბურთი ვოფილიყავი. გაღახული ვიყავი, თორემ უთუოდ უკებენდი, — გაძლევთ ზატონსან სიტყვას. არასოდეს ჩემ ცხოვრებაში ასე უკმაყოფილოდ არ მითამაშია, როგორც დღეს.

— ნუ თუ ჩქარა არ გაათავებთ თამაშს! — წამოვიძახე მე, მოთმინება დაკარგულმა.

— არც-კი ვუქრობ! — გამიცინა ზახუსად ბოროტმა ცინდალმა; დადგა უკანა ფეხებსე და ზირდანირ მეცა; მაგრამ ვერაფერი მოახერხა: მე აუფრინდი მის ფეხებ შუა და მაგრად უკბინე ბაკეში. აქ კი იგრძნო ტვიფილი სუნმა ცინდალმა, და-

იკნავლა და სარდაფში შეიძალა. მე კი გამოვედი და უვე-  
როდი:


— აბა ვინ არის ასე მსხვილი, ვინ?

დაიძალა სადღაც კასრებს შუა. უმჯობესია არ დამივი-  
წუხებს.

**საღამოს 9 საათი.** ამისთანა გმირული საქციელის შემდეგ ცოტათი წავიძინე. ძილში ვნახე, რომ ბოროტი მსხვილი არსება ქსელში შემკვრალა და არ შეეძლო იქიდან ამოდრო-  
მა. რა სასაცილო იყო! როცა გავიღვიძე და თვალები ამოვიფშვინე, შევამჩნიე, რომ დამდებ და მინ წასვლის დროს. გზა მიდიოდა იმ ფარნის წინ, საიდანაც მისტერ-  
კეკსმა ისე უსდულად გადმომაგდო. მე ვერ მოვითმინე, რომ არ შექსედა იმ ადგილისთვის, სადღაც ამისთანა შეუ-  
რაცხეოვა მომაქუნეს. მისტერკეკსი იღვა სარკის წინ დიდ სამართებლით ხელში და წვერს იზარსავდა. მინდოდა მეტყვა წასვლის დროს, რომ მან უსამართლოდ მომაქუნა შეურაცხეო-  
ვა და მისი საქციელი ძალიან სამაკული იყო. დიდხანს არ მიუქრია. ოთახში შეფურინდი და შიგ უურში ჩავსუსუნე ჩუ-  
მი შესედულება მის უღამაზო საქციელზე. ეს სულელი კი, რისთვის არ ვიცი, შესტა, როგორც ნაკებნი, (მე არც-კი მი-  
უქრია კებნა) გაიჭრა ზირისასე, და ისე, როგორც რამდენიმე საათის წინად, დამიწყო დევნა და მაძინებდა სამარ-  
თებლით. მეტი გზა არ იყო: უნდა დამქსნა ჩემი თავი ამ შე-  
ძლილისგან. გამოფურინდი ფანჯრიდან და მშვიდობიანად მივე-  
დი სახლში.

**საღამოს 10 საათი.** ძალიან ნასიამოვნები ვარ დღევანდელი დღით. ვინეირნე ბეჭრი, ვჭამე მურაბა, ვველა ჩემი მტრები დავაძარცვე. აბა შესძლოს ეს ვველაფერი ვინმე სხვამ.

მაკა ნაკაშიძე.





# რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი ნ. — მიერ).



მე-15 №-ში მოთავსებულ რეკლამის ალსა  
თავს სინანული სჯობია ბოლო ქამს დანახებასა.


# „ნაკადული“-ს რედაქციაში



დ

წერბაკითხვის სასოკადოების წიგნის მადსიამი იუიდება  
შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ.  
ვრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თხზ. ავენარიუსისა, თარგმ.  
გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) დასურათებული ასაწყობი ანბანი, — ფასი . . . . . 1 მ. 20 კ.
- 4) სკრუჯი და მარლერ, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ  
დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ჯ. ან-  
დერსენისა, ვრ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა  
და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ ტოლსტო-  
ისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმა-  
წვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი . . . . . 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნა-  
კაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი-ეგოისტი,  
ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ.  
მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევდოშვილისა, დიდების მადიებელი,  
თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლიგერლეფისა და სხვა უცხო მწერ-  
ლებისა . . . . . 5 კ.
- 13) იგავ-არაქნი, — 125 დასურათებული, პატარა მო-  
თხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილი-  
სა, ფასი . . . . . 75 კ.



# 1913 წ. მიიღება ხელის მოწერა



დასურბათებულ საკმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

◆ წელიწადი მთავარი ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-  
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-  
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა სა-  
ჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ  
სტოუს რომანს ზანგთ- განთავისუფლების დროიდან, „ბი-  
ძია თომას ქოხი“-ს სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე  
მეტე სურათი და ჩართული იქნება ევტორის სურათი და  
ბიოგრაფია.

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკი-  
სრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორჯე გამოცემა—5 მ. ნა-  
ხევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის  
**24** წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

### ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბაძაშვილის სსს.,  
კაფიების. შრ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский  
пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სსს-  
ხლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდაოე კვიციანიძისთან, შ. უახშიშვი-  
ლთან და თ. შთაერაშვილთან. სამტრედიისში—ივანე კლადკოფ-  
თან და ვლ. ნაგადაძისთან. ფოთში—თეოდოლე კინდელაძისთან.  
ბათუმში—კნ. სოფიო ნაკაშიძისთან, ტრაფიკ ბინსარაძისთან და  
ანასტასია ლომინაძისთან. იზურგეთში და ლანჩხუთში—ლევო იშ-  
ნაძისთან. თელავში—ფახო შატაშვილთან. ახალციხეში—კონ-  
სტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—ვასილ ახვლედიანთან, ნინო  
გულაშვილთან და ივანე ელავაშვილთან. გორში—ნინო ლომურთან  
და ქეთევან ჯავახიშვილთან. სოხუმში—კნ. შარამ ანნაძისთან.  
კიართვანში—ივანე კომედაურთან. განჯაში—ბ. ამბოქაძისთან.  
ერევანში—კ. ოდიშარაძისთან. სიღნაღში—ნ. ახმეტყვაშვილთან.  
ყარსში—ივ. სათაშვილთან. ალექსანდროპოლში—ს. შატუ-  
რაშვილთან. როსტოვში—შ. კლიშაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.